

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №154

2017 წლის 24 მარტი

ქ. თბილისი

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2011, 340030000.10.003.016172) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3¹³“ და „3¹⁴“ ქვეპუნქტები:

„3¹³) ვეტერინარული სერტიფიკატი მცობნავი ცხოველ(ებ)ისა და ცხენის დამუშავებული იმ ტყავისა და კანის, ევროკავშირში ექსპორტისათვის ან მის ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის, რომელიც 21 დღე განცალკევებით ინახებოდა ან 21 დღე უწყვეტად იმყოფებოდა გზაში ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლამდე (დანართი №46);

3¹⁴) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოდან ექსპორტირებულ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის რძესა და რძის პროდუქტებზე (დანართი №47).“.

2. დანართები: №17, №32, №33, №34, №35, №36, №37, №38, №39, №40, №41 და №42 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დაემატოს თანდართული შინაარსის №46 და №47 დანართები.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

